განკარგულება:**გ-27.27212113**
თარიღი:**30/07/2021**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 55

30 ივლისი 2021წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძების სს „სილქნეტისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის, განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, სს „სილქნეტს“ (ს/კ 204566978) პირდაპირი განკარგვის წესით, 2 (ორი) წლის ვადით, ქირავნობის უფლებით გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების კონსტრუქციების/ბოძების ნაწილი/ წერტილი საკომუნიკაციო (ოპტიკურ ბოჭკოვანი) ქსელის მოსაწყობად დანართის შესაბამისად.

2. სარგებლობის წლიური საფასური განისაზღვროს 54 (ორმოცდათოთხმეტი) ლარით.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

არჩილი თხლაშიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი

იჯარით გადასაცემი ქონება

N	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	რაოდენობა (ცალი)
1	გარე განათების ბოძი	ქ. თელავი, თბილისის გზატკეცილი	53.00.528	5
2	გარე განათების ბოძი	სოფ. შალაური	53.00.278	13
საერთო რაოდენობა				**18**